4925/3-53/22 2 02062022

4925/3-53/22
02-06-2022

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ პარლამენტის წევრთა შვიდკაციანმა ჯგუფმა ინტერპელაციის წესით, პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა შეკითხვა თუ *რა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიის, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების თუ სხვა სუბიქტების გამოყენებით არ მოხდეს აღნიშნული სანქციების რეჟიმის დარღვევა რუსეთის ფედერაციისა და მათი წარმომადგენლების მიერ?*

ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ახორციელებს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ბრუნვის კონტროლს და რომ უმკაცრესი კრიტერიუმების დაცვით პროდუქციის ბრუნვაზე დადებითი რეკომენდაცია არ გაიცემა, თუ არსებობს აშკარა რისკი იმისა, რომ **პროდუქციამ საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში** შეიძლება გამოიწვიოს **კონფლიქტის გაგრძელება ან გაუარესება**, რომ მიმღები პროდუქციას **გამოიყენებს აგრესიული მიზნით სხვა ქვეყნის წინააღმდეგ** ან თუ არსებობს **რეგიონის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედების წინაპირობა**.

აღსანიშნავია, რომ ინტერპელაციის კითხვა ეხებოდა რუსეთის მიერ წარმოებულ აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ, თუმცა პრემიერის პოზიციონირება რეგიონის ზოგად ფარგლებს ეხება, შესაბამისად გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ ინფორმაცია იცვლება თუ არა ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ბრუნვის კონტროლის პოლიტიკა სხვა მეზობელი ქვეყნების

მიხედვით (მაგ. როგორია ამ მიმართულებით პოლიტიკა სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის მიმართულებით).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია